



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი N7**

ქ. ლანჩხუთი

28. 04. 2017 წელი

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი უკეთესი მომავლისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია“ დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე. საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ გამგეობიდან შემოსულია ორი საკითხი. პირველი პროექტი ეხება გამგებლისათვის თანხმობის მიცემას ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „მერების შეთანხმება - აღმოსავლეთის“ პროექტის ფარგლებში ხელი მოაწეროს და შეუერთდეს მერების შეთანხმებას. ამასთან მან აღნიშნა, რომ „მერების შეთანხმება“ არის ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა. იგი აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების ხელმძღვანელებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას გაზარდონ ენერგოეფექტურობა. მეორე საკითხი არის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწამე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწამე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწამე/

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ზ. ურუშაძე/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

/მომხსენებელი გ.ხელაძე/

9. „მერების შეთანხმება-აღმოსავლეთის“ ხელმოწერაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ნ. ცინცაძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

11. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.**

**მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საკრებულოს წევრებს გააცნო პარლამენტის წევრის, ქალბატონ ნინო წილოსანის მომართვა:

„ძვირფასო საკრებულოს წევრებო,

პირველ რიგში მინდა ავღნიშნო, რომ მიუხედავად დიდი სურვილისა, ოფიციალური გრაფიკიდან გამომდინარე, საკრებულოს სხდომებზე ჩემი დასწრება სასურველი ინტენსივობით არ ხერხდება. თუმცა, თვალს ვადევნებ ყველა იმ საკითხის მსვლელობას, რაც ამ შეხვედრებზე განიხილება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთ სხდომაზე წამოიჭრა ინიციატივა, რომელიც გულისხმობს წარმატებული ახალგაზრდების ევროპაში მოგზაურობის დაფინანსებას ჩემს მიერ.

პირველ რიგში, მადლობას მოვახსენებ ინიციატივის ავტორს, ბატონ კახაბერ ასკურავას ახალგაზრდებზე ზრუნვისა და მათი ინტერესების გატარებისთვის. თუმცა აქვე მინდა

შეგახსენოთ, რომ უკვე რამდენიმე წელია ახალგაზრდები და პირველ რიგში, მათი განათლების მხარდაჭერა ჩემი უმთავრესი პრიორიტეტია. ყველა ადრინდელი საქმიანობა, „ფონდ წილოსანში“ თუ ვაგონმშენებელ კომპანიაში, ამ მიმართულებით აქტიურ ინიციატივებს მოიცავდა.

წარჩინებულ გურულ აბიტურიენტებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში გრანტს მოიპოვებენ, ჩემს მიერ უფინანსდებათ გადასახადის ნაწილი. გარდა ამისა, არის კონკრეტული თხოვნები, რომლებიც სწავლის დაფინანსებას ან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს უკავშირდება და რომელთა გადაჭრა უშუალოდ ჩემი მეთვალყურეობით და მხარდაჭერით ხდება. ახლახან, მოსწავლეებთან შეხვედრისას, შემოვიდა განაცხადი ერთ-ერთი ახალგაზრდის ამერიკაში სწავლის დაფინანსების შესახებ და კონკრეტულ საკითხზე უკვე აქტიურად ვმუშაობთ.

ჩემი, როგორც პარლამენტარის სამოქმედო გეგმაც, ახალგაზრდებთან დაკავშირებით, სწორედ მათი უნარების ბოლომდე გამოვლენას და განვითარებას ემსახურება. ამაზე ჩვენი შეხვედრების ხასიათი, შინაარსი და ინტენსიობაც მოწმობს, რომელთა შედეგად უკვე დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობა: ტრენინგები, შეხვედრები, სასწავლო კურსები და ა.შ.

ჩემი მხრივ, ყოველთვის მზად ვარ მოვისმინო ნებისმიერი ალტერნატიული წინადადება ამ მიმართულებით, რაც უპირველესად, საქმის ცოდნით, გულშემატკივრობით და ახალგაზრდებზე რეალური ზრუნვით იქნება განპირობებული.

ასევე მინდა გრიგოლეთში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის შესახებ ჩემს ხელთ არსებული ბოლო ინფორმაცია გავაცნო ბატონ გია გოგუაძეს და საკრებულოს წევრებს. ეკონომიკის მინისტრმა შეხვედრისას დამიდასტურა, რომ აღნიშნული პროექტი აქტუალურია და კონკრეტული ძვრების შესახებ დაუყონებლივ გვექნება დეტალური ინფორმაცია.

პატივისცემით,

ნინო წილოსანი ,,

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი განეხილათ მეათე საკითხად, რაზეც დეპუტატებმა თანხმობა განაცხადეს.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N 7 დადგენილების დანართის მე-3-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში არის შეცდომა, კერძოდ დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულება 2 პროცენტის ნაცვლად შეადგენს 0.2 პროცენტს.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.**

**მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N12 (28.04. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, მუნიციპალიტეტს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია განსაზღვროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურისა და ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი, რომლითაც მოხდება: ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ავტომანქანის პარკირების ორგანიზებულობის, საგზაო მოძრაობის უსაფრხოების, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე პარკირების სფეროს განვითარება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღება. მან თხოვნით მიმართა დეპუტატებს, რომ კომისიის სხდომებზე მოხდეს აღნიშნული საკითხის ძირეული განხილვა, რათა დროულად იქნას წარმოდგენილი საქმიანი შენიშვნები და წინადადებები.

**სხდომას შემოუერთდა დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე.**

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხს აუცილებლად განიხილავენ ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომაზე. აქედან გამომდინარე, თხოვნით მიმართა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსს, რომ ფრაქციას მიაწოდოს პარკირების მოსაწყობად გათვალისწინებული ადგილის ნახაზები ქონების დამადასტურებელ საბუთებთან ერთად, რადგან გაირკვეს თუ ვისია ეს ტერიტორია - მუნიციპალური საკუთრებაა თუ რომელიმე ორგანიზაციის მფლობელობაშია. გარდა ამისა, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ქალაქის პარკის დაპროექტების დროს ოფიციალურად მოითხოვა შემადღებელი ნაწილის მოხსნა და პარკის ტერიტორიის გასწორება, რადგან

ძალიან ხშირად იქმნება ავარიული სიტუაცია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მსხვერპლი. მით უმეტეს, რომ იმ პატარა გზის მონაკვეთით სარგებლობს სახანძრო - სამაშველო სამსახურის ავტომობილები.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ლანჩუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე **ელგუჯა ჩხაიძე**.

დეპუტატმა **ამირან ქანთარია** აღნიშნა, რომ მსგავსი პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია შესაბამისი სპეციალისტების მოწვევა და მათი აზრის გათვალისწინება, რადგან საკრებულოს დეპუტატები ასეთ საკითხებთან დაკავშირებით კომპეტენტურები ვერ იქნებიან.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** თქმით, ის ეთანხმება დეპუტატ ამირან ქანთარიას. სპონტანურად ეს საკითხი ვერ გადაწყდება. მისი აზრით, საკრებულოს წევრის თუ ნებისმიერი მოქალაქის მიერ უნდა მოხდეს იმ ადგილების ჩანიშვნა, სადაც მოსაწესრიგებელია სიტუაცია, რათა შემდეგ ეს ინფორმაცია მიწოდებულ იქნას შესაბამისი სპეციალისტებისთვის.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურია** აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნება გაეცნონ მეზობელ მუნიციპალიტეტებში დანერგილ პარკირების მოწყობის სისტემებს და გაიზიარონ მათი გამოცდილება. ასევე, აუცილებელია კონსულტაციები საგზაო დეპარტამენტთან და შესაბამის ორგანოებთან აღნიშნული საკითხის მიღებამდე. ამასთან, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური წარმოდგენილი საკითხის კომისიებში განხილვამდე ორ ობიექტს, რომლებიც მუნიციპალური საკუთრებაა, დაარეგისტრირებს საჯარო რეესტრში პარკირების მოწყობის მიზნით.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ქალაქში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საკითხი საკმაოდ დელიკატურია. ის სრულიად ეთანხმება დეპუტატ გიორგი გოგუაძეს, რომ ქალაქის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ხშირად იქმნება ავარიული სიტუაცია. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე პირადად თვითონ გახდა ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი. მაგრამ ვერ დაეთანხმება საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, რომან ბიწაძის აზრს მოუწესრიგებელი ტერიტორიების ჩანიშვნის შესახებ. ამისთვის არსებობს შესაბამისი სამსახური და კომპეტენტური ადამიანები. გარდა ამისა, უნდა მოხდეს გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის კოორდინაცია საგზაო დეპარტამენტთან და შესაბამის უწყებებთან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასვა საკითხი, რომ გზის აღნიშნულ მონაკვეთზე დამონტაჟებული უნდა იქნას შესაბამისი საგზაო ნიშანი, რადგან სახანძრო - სამაშველო სამსახურს პრობლემები ექმნება დაკისრებული მოვალეობის ოპერატიულად შესრულებაში. ამასთან მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ თუ მსგავსი პრობლემების მოგვარება მუნიციპალიტეტს ეხება, მაშინ სიტუაცია უნდა მოწესრიგდეს რაც შეიძლება სწრაფად, რადგან ზარალდება მოსახლეობა, ხოლო თუ ეს საქართველოს საგზაო დეპარტამენტის პრეროგატივაა, მაშინ დეპუტატი აიღებს პასუხისმგებლობას, რომ ამ უწყების მიერ ეს საკითხი დროულად იქნას მოგვარებული..

საკრებულოს ფრაქცია „ დამოუკიდებელის“ თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ გზის აღნიშნულ მონაკვეთზე აუცილებელია სარკის დამონტაჟება, რაც უდავოდ განმუხტავს საავარიო სიტუაციებს.

დეპუტატ, **დარეჯან ბურჭულაძის** თქმით, მიესალმება პარკირების ადგილის მოწყობას, რაც მოაწესრიგებს არსებულ სიტუაციას. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ ზაფხულის სეზონის მოსვლასთან დაკავშირებით აქტუალური ხდება პარკში ბავშვებთან ერთად დასვენება, მაგრამ არანაირი დამცავი ბარიერი არ არსებობს ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალსა და პარკს შორის, რაც ქმნის საშიშ სიტუაციებს.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.**

**მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N33 (28.04. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურში მდებარე N1 შენობა-ნაგებობის 1322,1 კვ.მ. ფართიდან 827,2 კვ.მ. ფართისა და N5 შენობის (სტადიონი) (ს/კ 27.08.47.030 ) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო



სკოლისათვის” (ს/ნ433642203) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ა(ი)პი-ს აღნიშნული უძრავი ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად. ამასთან, რამდენადაც მას აქვს ოფიციალური ინფორმაცია აქ იგეგმება ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის გაკეთება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვამის** აზრით კარგია, რომ გაკეთდება ბავშვთა საფეხბურთო აკადემია, მაგრამ აღნიშნულ შენობაში ასევე ვარჯიშობენ მოჭიდავეები. დეპუტატი დაინტერესდა მათ ხომ არ შეექმნებათ გარკვეული პრობლემები.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის, **გიორგი ფაცურას** თქმით, მომხრე იყო, რომ შეწყვეტილიყო უზუფრუქტი მოჭიდავეებთან. რადგანაც შენობა იმყოფება სავალალო მდგომარეობაში, ჩატარდებოდა სარემონტო სამუშაოები, რის შემდეგ, გარემონტებული ფართით ისარგებლებდა როგორც მოჭიდავეები, ასევე საფეხბურთო სკოლა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, ამ ეტაპზე საფეხბურთო აკადემიისთვის არსებული შენობა - ნაგებობა საკმარისია. მათ უფრო აინტერესებთ მოედნები. სანამ ახალი სპორტული დარბაზი არ აშენდება, მანამ მოჭიდავეები ადგილზე დარჩებიან. რაზეც დეპუტატმა **თეიმურაზ ალექსაიამ** განაცხადა, რომ მაშინ შენობას არ ჩაუტარდება სარემონტო სამუშაოები და დარჩება იმავე მდგომარეობაში.

დეპუტატმა, **თეიმურაზ მარშანიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს ჭიდაობაში ჰყავს მსოფლიო ჩემპიონი და ევროპის პრიზიორები, ოთხი მოჭიდავე კი საქართველოს ნაკრების წევრია. ეს არის ძალიან წარმატებული სპორტის სახეობა, რომელსაც გვერდით დგომა და ხელშეწყობა ჭირდება. ახალ სპორტის დარბაზში არ არის გათვალისწინებული მოჭიდავეებისთვის ფართი. მისი თქმით, ერთი კარგი საქმის გაკეთებით მეორე არ უნდა გაფუჭდეს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** აზრით, ფეხბურთის ფედერაცია შენობის გარემონტების შემდეგ იქ მოჭიდავეებს აღარ შეუშვებს, მაგრამ აკადემიისთვის ახლანდელი ფართი საჭიროზე ზედმეტიც კია. უახლოეს დღეებში ჩამოდის სფფ პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი. ერთად დაათვალიერებენ შენობა - ნაგებობებს, ასევე ჩიბათის სტადიონს, რადგან აკადემიისთვის მოედნები უფრო მნიშვნელოვანია. მუნიციპალიტეტის გამგებელმა კიდევ ერთხელ აღუთქვა დეპუტატებს, რომ მოჭიდავეებს ყველანაირად დაეხმარება და ალტერნატიული ფართის გამოყოფამდე მათ არანაირი პრობლემები არ შეექმნებათ.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარის, **ნონა მურვანიძის** აზრით, ფეხბურთის აკადემიის გახსნით სასიკეთო საქმე გაკეთდება. მაგრამ ასევე

დაეთანხმა დეპუტატ თეიმურაზ მარშანიშვილს, რომ ჭიდაობა მუნიციპალიტეტისთვის ძალიან წარმატებული სპორტის სახეობაა და მას ხელის შეწყობა უნდა. დეპუტატის თქმით, საკრებულოს წევრების მიერ ერთ - ერთი მონიტორინგის ჩატარების დროს, საჭიდაო დარბაზში ტატამზე იმყოფებოდა ქვეწარმავალი. კარგია, თუ ფეხბურთის განვითარების ფონდი საკუთარი ხარჯით გააკეთებს აკადემიას, მაგრამ მანამდე მუნიციპალიტეტმა აუცილებლად უნდა გამოძებნოს გარკვეული სახსრები და ჩაუტაროს სარემონტო სამუშაოები აღნიშნულ დარბაზს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** თქმით, მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, მაგრამ გამოთქვა ეჭვი, რომ ისე არ გამოვიდეს - არც საფეხბურთო აკადემია დარჩეს და მოჭიდავეებსაც პრობლემები შეექმნათ.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მიესალმება წინა ხელისუფლების დროს, კერძოდ, 2008 წელს დაწყებული საქმის გაგრძელებას. რადგან აკადემიისთვის მიმდგრები უფრო მნიშვნელოვანია, ამიტომ დეპუტატის აზრით, კარგი იქნება, ლესის სტადიონს, რომელიც დიდი ხნის წინაა გაკეთებული, სფფ თუ ჩაუტარებს სარემონტო სამუშაოებს.

**სხდომას შემოუერთდა დეპუტატი იოსებ სარჯველაძე.**

დეპუტატი, **იაკაკი იმნაიშვილი** დაინტერესდა, თუ ვის ბალანსზე ირიცხება ყოფილი კომისარიატის შენობა, რადგან იმყოფება სავალალო მდგომარეობაში და არსებობს მისი ჩამონგრევის საშიშროება.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის, **გიორგი ფაცურას** თქმით, მათმა სამსახურმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დააყენა საკითხი აღნიშნული შენობის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემასთან დაკავშირებით, მაგრამ შენობა გადაეცა იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლის განთავსების მიზნით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **გიორგი ხელაძის** თქმით, კოლეგებთან ერთად რამდენჯერმე დაათვალიერა ყოფილი მეთესლეობის შენობა. თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ იქნებ გამოინახოს რაიმე ფინანსური საშუალება, რომ ამ შენობას ჩაუტარდეს სათანადო სარემონტო სამუშაოები, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება მასში ჭადრაკის სახლის განთავსება, მით უმეტეს, რომ მოჭადრაკეების სხვა შენობაში გადასვლით მოჭიდავეებს დამატებით ფართი გამოუთავისუფლებათ.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის, **გიორგი ფაცურას** თქმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო“-ში გაგზავნილია დოკუმენტაცია ყოფილი მეთესლეობის შენობის მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემასთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში მიიღება დადებითი

პასუხი და შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ მასში განთავსდება ჭადრაკის სახლი.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე, **ნონა მურგანიძე** დაინტერესდა, თუ როდის დაიწყება ე.წ. „საუკუნის პროექტად“ წოდებული სპორტული დარბაზის მშენებლობა. დეპუტატის თქმით, სანამდე უნდა იყოს მოძიებული სხვადასხვა სპორტის სახეობისთვის შენობები ცალკე - ცალკე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, ლევან კობიაშვილისგან მისი ჯერ კიდევ სფფ პრეზიდენტად არჩევამდე იყო დაპირება, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გაკეთდებოდა ბავშვთა ფეხბურთის აკადემია. მაგრამ თუ ამ წამოწყებას ადგილზე შეხვდა წინააღმდეგობა, მაშინ ეს აკადემია გაკეთდება სხვა მუნიციპალიტეტში. სპორტული დარბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით გამგებელმა განმარტა, რომ პროექტში რამდენიმეჯერ შევიდა ცვლილება. უახლოეს დღეებში მუნიციპალიტეტს გადმოეცემა პროექტის დასრულებული ვარიანტი. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მოჭიდავე ბავშვები დარბაზის გარეშე არ დარჩებიან. უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტს გადმოეცემა შესაბამისი სამშენებლო მასალა და ალბათ, მათის ბოლოსთვის დარბაზში შეიძლება იატაკი. ამასთან, გამგებლის აზრით, შესაძლებელია რომ ჭიდაობის დარბაზს გაუკეთდეს ცალკე შესასვლელი, რომელიც აკადემიას ფუნქციონირებაში ხელს არ შეუშლის.

დეპუტატი, **თეიმურაზ ალექსაია** დაეთანხმა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ გარკვეული დაბრკოლებების შემთხვევაში შესაძლებელია აკადემია გაკეთდეს სხვაგან. მისი აზრით, სპორტული დარბაზის პროექტში, გათვალისწინებულ უნდა იქნას ჭიდაობის დარბაზი, რითაც პრობლემა ბოლოსდაბოლოს მოგვარდება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** თქმით, მუნიციპალიტეტის გამგებლის განმარტება, რომ შენობას გაუკეთდეს ცალკე - ცალკე შესასვლელი, არ არის სწორი, რადგან საფეხბურთო აკადემიას საკუთარი წესი და კანონები აქვს. ამასთან, არ შეიძლება ერთ შენობაში ორი სუბიექტი იმყოფებოდეს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ გარემონტდეს ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე დანგრეული შენობა და გადაეცეს მოჭიდავეებს.

დეპუტატი, **აკაკი იმნაიშვილის** აზრით, უმჯობესია ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას გადაეცეს გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზა, რადგან შეიძლება ბაზა მალე პატრონის გარეშე დარჩეს.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.**

მომხრე: 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N34 (28.04.2017 წელი).

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის საშტატო რიცხოვნობას, რომელიც ნაცვლად 5-სა უნდა განისაზღვროს 4 ერთეულით. ვინაიდან, საორგანიზაციო განყოფილების გამართულად მუშაობისთვის სრულიად საკმარისია 4 მთავარი სპეციალისტი.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხის წინააღმდეგია, რადგან ძალიან ბევრმა პიროვნებამ წარმატებით გაიარა შესაბამისი კონკურსი, მაგრამ მაინც ვერ მოხერხდა მათი დასაქმება. ერთი შტატის გაუქმებით ეკონომია ვერ გაკეთდება. მისი აზრით, ეს უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.**

მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 დეპუტატი: (კახაბერ ასკურავა).

მიღებულ იქნა დადგენილება N13 (28.04.2017 წელი).

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტში ტექნიკური ხარვეზის

გასწორებას, ასევე ცვლილების შედეგად გამიჯნული იქნება და დაკონკრეტებული საკრებულოს კომისიების, ფრაქციების უფლებამოსილებები და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით ვადები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.**

**მომხრე: 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N35 (28.04. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის მე-16 მუხლი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს, აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე: 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N36 (28.04.2017 წელი).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2016 წელს მობილიზებულია სულ შემოსავლები საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან 3111.6 ათ. ლარი ანუ გეგმა შესრულებულია 93.0%-ით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია 101.5%-ით. აქედან, საშემოსავლო გადასახადი 480,3 ათ. ლარი /73,9%/, საწარმოთა ქონების გადასახადის საკასო შესრულებამ შეადგინა 400.5 ათ. ლარი /121.4%/; ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადმა შეადგინა 17.7 ათ. ლარი /177.2%/; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საკასო შესრულება შეადგენს 130.0 ათ. ლარს /216.7%/; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის 525.0 ათ. ლარს /109.4%/; არასაგადასახადო შემოსავლების საკასო შესრულება შეადგენს 865.4 ათ. ლარს და გეგმა 77.5%-ით არის შესრულებული; მ.შ. ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მიღებულია 90.8 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 30.3%-ით, შემოსავალმა მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შეადგინა 8.8 ათ. ლარი /88.1%-ი/; სანებართვო მოსაკრებლიდან მიღებულია 6.9 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 69.8%-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან მიღებულია 8.0 ათ. ლარი გეგმა შესრულებულია 58.8 %-ით.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან მიღებულია 35.2 ათ. ლარი , გეგმა შესრულებულია 175.9 %-ით; ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებულია 694.5 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 91 %-ით. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 21.1 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია მიღებულია 692.5 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 98.9%-ით; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური დახმარების სახით მიღებული აქვს 14286.4 ათ. ლარი ანუ გეგმის 99.9%-ი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5881,1 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 220,0 ათ. ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 3897,6 ათ. ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის 817,5 ათ. ლარი, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ 3641,3 ათ. ლარი, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულია 250.0 ათ. ლარი.

სულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულობების სახით საფინანსო წლის განმავლობაში მიღებულია 17398.0 ათ. ლარი ანუ გეგმის 98.6%-ი. საფინანსო წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ერიცხებოდა 403.3 ათ. ლარი, რომელიც მიიმართა ვალდებულებების დასაფინანსებლად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2015 წლის 29 დეკემბერს N47 დადგენილებით 11235877 ლარის ოდენობით, განხორციელდა ცვლილება 2016 წლის 27 იანვრის N7 დადგენილებით, გაიზარდა ბიუჯეტი 187500 ლარით და განისაზღვრა 11423377 ლარის ოდენობით, 2016 წლის 18 თებერვლის N09 დადგენილებით შევიდა ცვლილება და დაემატა 2414997 ლარი და განისაზღვრა 13838374 ლარით, 2016 წლის 07 მარტი N12 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება და გაიზარდა ბიუჯეტი 1045756 ლარით და განისაზღვრა 14884130 ლარით, 2016 წლის 27 აპრილის N16 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 93534 ლარით და განისაზღვრა 14977664 ლარით, 2016 წლის 13 ივნისის N18 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 924901 ლარით და განისაზღვრა 15902565 ლარით, 2016 წლის 29 ივლისის N29 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 1721288 ლარით და განისაზღვრა 17623853 ლარით, 2016 წლის 17 ნოემბრის N27 დადგენილებით განისაზღვრა 17623853 ლარით, 2016 წლის 23 დეკემბრის N29 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 366849 ლარით და განისაზღვრა 17990702 ლარით.სულ საფინანსო წლის პერიოდში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად როგორც შემოსავალი, ისე ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 6754825 ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული იქნა 17584,1 ათ. ლარის ხარჯი; მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1758,1 ათ. ლარი, ბიუჯეტით გაწეული ხარჯების 19,8%-ი, შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 130.9 ათ. ლარი გაწეული ხარჯის 1,5%-ი, მივლინების ხარჯების დაფინანსებაზე 5.2 ათ. ლარი, ოფისის ხარჯების დაფინანსებაზე 269,9 ათ. ლარი, /ხარჯის 3,0%/, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებაზე 15,5 ათ.ლარი, ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯებზე 113,6 ათ.ლარი /ხარჯის 1,3%-ი/, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე 228,0 ათ.ლარი /ხარჯის 2,6%-ი/, არაფინანსური აქტივების ხარჯვაზე მიიმართა 8486,5 ათ.ლარი /ხარჯის 48,6%-ი/, სუფსიდირების წესით დაფინანსებაზე მიიმართა 4830,0 ათ.ლარი /ხარჯის 54,3-ი/, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 503,1 ათ.ლარი /ხარჯები 2,9%-ი/, სხვა ხარჯების მუხლით გაწერილია 191,4 ათ. ლარი /ხარჯები 2,2%-ი/, ვალდებულების კლების მუხლიდან გახარჯულია 670,8 ათ. ლარი /ხარჯები 7,5%-ი/.მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 664,6 ათ.ლარის ხარჯი ანუ ბიუჯეტით გაწეული ხარჯის 7,5%-ი, მუნიციპალიტეტის გამგეობის ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 1563,0 ათ. ლარი ბიუჯეტის ხარჯების 17,6%-ი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე მიიმართა 108,7 ათ. ლარი ხარჯების 1,2%-ი, ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური შენობა ნაგებობებში დახარჯული წლის გადასახადს შეადგინა 1,1 ათ. ლარს, გარე განათების მოვლის ღონისძიებაზე მიიმართა 403,3 ათ. ლარი ხარჯების 4,5%, დასუფთავების და ნარჩენების გატანაზე მიიმართა 548,1 ათ. ლარი ხარჯების 6,2%, გარე განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯზე მიიმართა 152,6 ათ. ლარი ხარჯების 1,7%- ი, სოც. კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე მიიმართა 25,8 ათ. ლარი ხარჯების 0,3%-ი, რელიგიის მხარდაჭერის პროგრამაზე მიიმართა 55.0 ათ. ლარი ხარჯების 0,6%-ი, ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის

და მეწარმეობის განვითარების ცენტრის შენახვაზე გახარჯულია 143,7 ათ. ლარი ხარჯების 1,6%-ი. ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციული ცენტრი დაფინანსდა 1728,5 ათ. ლარი ხარჯების 19,4%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის „სპორტული ცენტრის“ დაფინანსებაზე 380,1 ათ. ლარით ხარჯების 4,3%-ი, ა(ა)იპ მუნიციპალური „საფეხბურთო კლუბი გურიას“ დაფინანსება 626,8 ათ. ლარია ხარჯების 7,0%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დაფინანსება 185,4 ათ. ლარი შეადგინა ხარჯების 2,1%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო საფეხბურთო სკოლის დაფინანსება 72,5 ათ. ლარი ხარჯების 0,8%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება დაფინანსდა 1013,5 ათ. ლარი ხარჯების 11,4%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებაზე გაიხარჯა 130,4 ათ. ლარი ხარჯების 1,5%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის დაფინანსებაზე გაიხარჯა 76,5 ათ. ლარი ხარჯების 0,9%-ი, სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 372,7 ათ. ლარი ხარჯების 4,2%-ი, ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდზე მიიმართა 535,1 ათ. ლარი ხარჯების 6,0%-ი, შპს ლანჩხუთის დაფინანსებაზე 105,9 ათ. ლარი ხარჯების 1,2 %-ი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების დაფინანსებაზე გაიხარჯა 8689,5 ათ. ლარი ბიუჯეტით გაწეული ხარჯების 49,4%-ი. მათ შორის ნაპირსამაგრი სამუშაოებზე მიიმართა 2295,2 ათ. ლარი; გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 4064,5 ათ. ლარი; ხიდების მოწყობის სამუშაოებზე 638,0 ათ. ლარი; არასაცხოვრებელი ბინათმშენებლობის სამუშაოებზე 174,4 ათ. ლარი; სკოლამდელი დაწესებულებებისათვის მშენებლობა რეაბილიტაციაზე მიიმართა 444,1 ათ. ლარი; ლანჩხუთის სკვერის კეთილმოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 282,5 ათ. ლარი; საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე 35,0 ათ. ლარი; სოფლის მხარდაჭერის დაფინანსებაზე მიიმართა 733,8 ათ. ლარი; ნინოშვილის სახლ - მუზეუმის რეაბილიტაციაზე მიიმართა 21,8 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 700439 ლარს, ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 8482614 ლარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მონეტარული ზღვარის გათვალისწინებით 2016 წლის განმავლობაში სულ გამოცხადებული იქნა 56 ტენდერი, არ შემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 4, უარყოფითი შედეგით დასრულდა სამი ტენდერი. ტენდერების შედეგად მიღებული იქნა 683755 ლარის ეკონომია. ინფორმაცია ტენდერების შესახებ ასახულია დანართი №1-ში. ტენდერის საშუალებით გაფორმებული იქნა 47 ხელშეკრულება. სულ 2016 წლის განმავლობაში განყოფილების მიერ გაფორმებული იქნა 213 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N175 განკარგულების შესაბამისად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამუშაოების შესრულების მიზნით ამავე განკარგულებით გამოყოფილი იქნა 3858004 ლარი. ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები და შესრულდა სამუშაოები. ინფორმაცია სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ასახულია დანართი N2-ში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულების შესაბამისად სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 806256 ლარი. გამოყოფილი თანხიდან 50000 ლარის ოდენობით განხორციელდა რგფ-ის პროექტების თანადაფინანსება. დარჩენილი თანხა



განაწილებული იქნა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებზე დასმული პრობლემების გათვალისწინებით. გამოყოფილი თანხით სულ სოფლებში დაფინანსდება 99 პროექტი. ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სამუშაოების შესახებ ასახულია დანართი N3-ში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის N964 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 850000 ლარი. სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი. ჩატარდა სულ ოთხი ელექტრონული ტენდერი. ყველა ხელშეკრულება დასრულდა ვადაში, ხელშეკრულების პირობების დაცვით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის N1340 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 68889 ლარი. აღნიშნული თანხით განხორციელდა სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავების შესყიდვა. სახურავები შესყიდული იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N1409 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 1652300 ლარი. აღნიშნული თანხით სამუშაოების შესყიდვის მიზნით ჩატარდა რვა ელექტრონული ტენდერი. ხელშეკრულება გაფორმებული იქნა ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებლებთან. ყველა ხელშეკრულება დასრულდა ვადაში. შემსრულებლები არ დაჯარიმებულა. ინფორმაცია სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის შესახებ ასახულია დანართი N4-ში.

მუნიციპალიტეტს 2016 წლის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ ხორციელდებოდა დებულებით გათვალისწინებული ყველა ფუნქცია. განყოფილების ყველა თანამშრომელზე გადანაწილებული იყო განყოფილების მიერ შესასრულებელი ყველა ფუნქცია. ყოველდღიურად ხორციელდებოდა შემოსავლებისა და ხარჯების ყოველდღიური აღრიცხვა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურების მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების, პრემიების, სამივლინებო თანხების დარიცხვა და საბანკო ანგარიშებზე თავის დროულად ჩარიცხვა, საშემოსავლო გადასახადების ანგარიშების შედგენა და დადგენილ ვადაში საგადასახადო ინსპექციაში წარდგენა, მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად კომუნალური და სხვა გასაცემი თანხების მომწოდებლებზე თავის დროულად გადარიცხვა, მისაწოდებელი და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ და შესაბამისი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე მომწოდებელზე თანხის ჩარიცხვა, ბუღალტრული დოკუმენტების, აღრიცხვის რეგისტრების, ხარჯთანუსხების, მათი გაანგარიშების და სხვა საბუთების შენახვაზე კონტროლი და დადგენილი წესით მათი გაარქივება, ბიუჯეტის შემოსავლების და გადასახდელების ყოველდღიური აღრიცხვა, რითვისაც ყოველ დღიურად მუშავდებოდა ხაზინიდან მიღებული ამონაწერები (ავიზოს), უზრუნველყოფილი იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დადგენილი წესით დაბრუნება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებებიდან საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ანგარიშების (ბუღალტრული ბალანსების) მიღება, წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა და სხვა) საფუძველზე საგადახდო დავალების მომზადება გადახდის განსახორციელებლად. ხდებოდა მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა და კონტროლის განხორციელება საბიუჯეტო დაწესებულებებსა და მუნიციპალიტეტის გამგეობისა მიერ დაფუძნებული საწარმოებებსა და დაწესებულებების საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების და მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების

ხარჯვი დროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სწორად განხორციელების საკითხებზე.

2016 წელს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ მიღებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული თერთმეტი არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის და ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ფორმები, სულ ჯამში 141 ცალი ყოველთვიური ანგარიშის ფორმა. აღნიშნული ფორმები შედარებული იქნა ა(ა)იპ-ების და შპს-ს მიერ წარმოდგენილ წლიურ ხარჯთაღრიცხვებთან და მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან. ასევე 2016 წელს მიღებული იქნა 19 ცალი კვარტლური ანგარიშის ფორმა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 2016 წლის წლიური ბალანსების მიღება-დამუშავებაზე.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ 2016 წლის ბიუჯეტი შესრულებულია 98 %-ით. რაც შეეხება შემოსავლის ნაწილს, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი დაიგეგმა 550 000 ლარის ოდენობით. ეს თავიდანვე დიდ რისკებთან იყო დაკავშირებული. გათვალისწინებულზე ნაკლები თანხები შემოვიდა კარიერებიდან და დასუფთავების სამსახურის მიერ. ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელიდან დანაკლისმა შეადგინა დაახლოებით 250 000 ლარი. დეპუტატის აზრით, ქების ღირსია გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი, როლანდ ლაშხია და მისი გუნდი, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ასეთი დაგეგმილი ბიუჯეტი შესრულდა 98 %-ით. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიისა და საკრებულოს წევრების უმრავლესობის მიერ 2016 წლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ 2016 წლისთვის შემოსავლები 720 000 ლარით გაიზარდა, ვიდრე იყო 2015 წელს. მართალია, რომ გაცილებით მეტი თანხა უნდა შემოსულიყო კარიერებიდან ბუნებრივი მოსაკრებელის სახით, მაგრამ სოფლების მოსახლეობის მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო, ეს კარიერები დღემდე ვერ ახორციელებენ სამუშაოებს. ამას გარდა, დასუფთავებიდან შემოვიდა ბიუჯეტში დაახლოებით 8 000 ლარი. დაწესებულებები თუ ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ შემოსავალი, უნდა იხდიდნენ გადასახადს. ეს არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული წესი. ვინმეს დაჯარიმება თვითმიზანი ნამდვილად არ არის, მაგრამ მაისის თვიდან გატარდება გარკვეული სანქციები და ისინი, ვინც არ გადაიხდიან დასუფთავების გადასახადს, შესაბამისად ვერ ისარგებლებენ ნაგვის ურნებით. გამგებლის თქმით, ანალოგიური სიტუაციაა გარე განათებებთან დაკავშირებით. 2012 – 2013 წლებთან შედარებით ელექტროენერჯის ხარჯი გაზრდილია დაახლოებით 300 000 ლარით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი დაწესებულების თუ ორგანიზაციის მიერ ხდება მუნიციპალური ელექტროენერჯის გადაერთებები.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ 2016 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით ის უარეს შედეგს ელოდა. მისი თქმით, მადლობის ღირსია გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო განყოფილება, რომ 2016 წლის ბიუჯეტი შესრულდა 98%-ით. ამას გარდა, აღნიშნა, რომ დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა - არგადახდისა და მუნიციპალური ელექტროენერჯის გადართვების გაკონტროლებისთვის არსებობს შესაბამისი სამსახურები, რომლებმაც მდგომარეობის მოსაწესრიგებლად უნდა გამოიყენონ კანონით მინიჭებული უფლებები. ურჩი გადამხდელების მიმართ აუცილებლად უნდა გატარდეს გარკვეული სანქციები, რადგან ყოველივე ეს მტკივნეულად აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ გრიგოლეთში, ე.წ.

„ბახმაროს დასახლებაში“ კერძო მესაკუთრეების მხრიდან ირღვევა რიგითი მოქალაქეების უფლებები სანაპიროზე მისვლასთან დაკავშირებით. კერძო პირებს შესყიდული აქვთ მიწები და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მოხდეს ამ ნაკვეთების ლეგალიზება. ამასთან, შემოდგომის ეპოქები და მათ შორის გასავლელები, რომ ფეხით მოსიარულე ვერ გადავიდეს სანაპიროზე. დეპუტატმა მოითხოვა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა გაატარონ სათანადო ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ მისი გამგებლობის პერიოდში არც ერთი კერძო მესაკუთრისთვის გრიგოლეთში არ მომხდარა მიწის ლეგალიზება. რამდენიმე თვის წინ ადგილზე ჩავიდა ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები, რომლებმაც გააფრთხილეს კერძო მესაკუთრეები, რათა მოიყვანონ წესრიგში არაკანონიერად ჩაღობილი ტერიტორიები. აუცილებელია პრობლემა მოგვარდეს კანონის შესაბამისად და არა ძალის გამოყენების შედეგად.

დეპუტატ, **აკაკი იმნაიშვილის** თქმით, ეთანხმება საკრებულოს წევრს გიორგი ჩახვამეს, რომ 2016 წლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. ამასთან, აღნიშნა, რომ როგორც კომერციული ობიექტის მფლობელი, წლის განმავლობაში დასუფთავების სამსახურს გადასახადის სახით პირადად უხდის 300 ლარს. დეპუტატმა მოითხოვა განმარტება მუნიციპალიტეტის გამგებლისგან, თუ რა დაპირება გასცა ბიძინა ივანიშვილმა და რა არ შეასრულა.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ შესაბამისი სამსახური უნდა ახდენდეს ადგილობრივ მოსაკრებლებთან დაკავშირებით ადმინისტრირებას, რომელიც კარგი მენეჯმენტის პირობებში შეიძლება განხორციელდეს უმოკლეს პერიოდში. კარიერებიდან ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი თანხის დაგეგმვამდე ჯერ უნდა გარკვეულიყო სიტუაცია თვითონ კარიერებთან დაკავშირებით, რადგან მათ აქვთ უფლება ბიუჯეტში თანხა შემოიტანონ გარკვეული გრაფიკის მიხედვით. ამას გარდა, დეპუტატმა უკმაყოფილება გამოთქვა გრიგოლეთში ჩამომსვლელ დამსვენებლებთან დაკავშირებით, რადგან ისინი სერიოზულ ზიანს აყენებენ სანაპირო ზოლს და მოითხოვა მათ დაუწესდეს გარკვეული სანქციები.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი შეადგენდა დაახლოებით მილიონნახევარ ლარს. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში არ გახსნილა რაიმე საწარმო და ფაბრიკა - ქარხანა, ბიუჯეტი მაინც გაიზარდა 3 მილიონნახევარამდე, რაც ცუდი მენეჯმენტის პირობებში ვერ მოხდებოდა. ამასთან, მთავრობამ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით მუნიციპალიტეტს დახმარების მიზნით გამოუყო გარკვეული თანხა. როგორც წესი, გამგებლის მოვალეობაა გაატაროს სწორი მენეჯმენტი, მოიზიდოს რაც შეიძლება მეტი თანხა, ხარჯები აწარმოოს სწორად და მიზანმიმართულად. ხარჯვით ნაწილს კონტროლს უწევს შესაბამისი ორგანოები, რომლებიც დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებლად მოახდენს სათანადო რეაგირებას. გამგებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება შესრულებულია. 2013 – 2016 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსავალმა შეადგინა 29 876 000 ლარი, მაშინ როცა 2009 – 2012 წლებში იგივე მაჩვენებელი შეადგენდა 8 259 000 ლარს. ასეთი პატარა მუნიციპალიტეტისთვის ხორციელდება ისეთი დიდი პროექტები, როგორცაა სპორტული დარბაზის მშენებლობა და საფეხბურთო აკადემიის გაკეთება. მიუხედავად იმისა, რომ არის შეზღუდვები დაფინანსების მხრივ, მაქსიმალურად ყველაფერი კეთდება, რომ საკრებულოს დეპუტატების მიერ დასმული საკითხი თუ პრობლემა დროულად იქნას მოგვარებული. გამგებლის თქმით, რამდენიმე

დღის წინ დამტკიცდა მუნიციპალიტეტისთვის 350 000 ლარის გამოყოფა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ. არც ერთი ოჯახი, რომელთაც რაიმე სახის ზარალი მიადგათ სტიქიის მიერ, არ დარჩება ყურადღების და დახმარების გარეშე.

დეპუტატ, **აკაკი იმნაიშვილის** თქმით, მუნიციპალიტეტში არ გახსნილა ფაბრიკა - ქარხნები, მაგრამ ფუნქციონირებს სხვადასხვა კომერციული ობიექტები და საბანკეტო დარბაზები, რომელთაც საკმაოდ კარგი შემოსავალი აქვთ. დეპუტატი დაინტერესდა, თუ ისინი არ იხდიან დასუფთავების მომსახურებისთვის გადასახადს, რატომ არ ტარდება მათ მიმართ რაიმე სანქციები, რადგან ამ კუთხით ადგილობრივ ბიუჯეტში წლის განმავლობაში შემოსული 8 000 ლარი ძალიან ცოტაა.

მუნიციპალიტეტის გამგებელის **ზაზა ურუშაძის** აზრით, ზედამხედველობის სამსახურს უნდა მიეცეს ასეთი დაწესებულებების მიმართ სათანადო სანქციების გატარების უფლება.

დეპუტატმა, **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ შუხუთის კულტურის სახლის შენობა, რომელიც აშენებულია გასული საუკუნის 60 - იან წლებში, იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, თანდათან ნადგურდება და ინგრევა. ბოლოსდაბოლოს გასარკვევია, ექვემდებარება თუ არა იგი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. ამასთან დაკავშირებით, სოფელს მოწვეული ჰყავდა აუდიტი, რომელმაც განაცხადა, რომ შენობისთვის აღდგენითი სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია. ამის შემდეგ, დეპუტატმა მადლობა გადაუხადა გამგებელს ლელო - ბურთთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, მაგრამ უკმაყოფილება გამოთქვა, რომ დაჯილდოებული 4 მოქალაქიდან არცერთი არ იყო შუხუთელი, რაზეც სოფლის მაცხოვრებლების უკმაყოფილება გამოიწვია. მით უმეტეს, რომ ჰყავთ 90 წლის ვეტერანი ლელო - ბურთის მოთამაშე.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** განაცხადა, რომ დაჯილდოების შესახებ მაჟორიტარ დეპუტატს წინასწარ უნდა გაეკეთებინა მომართვა, რომელსაც განიხილავს კომისია და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. რაც შეეხება შუხუთის კულტურის სახლის შენობას, მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად შეთანხმდნენ, რომ მოხდებოდა მისი დემონტაჟი. მოწვეულმა აუდიტმა შენობა შეაფასა ნულოვნად, რადგან სრულიად გამოუსადეგარია ექსპლოატაციისთვის და ფიზიკურად მისი აღდგენა შეუძლებელია. ამის შემდეგ, გამგებელმა მაშინდელ პრემიერ- მინისტრთან და მთავრობის წარმომადგენლებთან დააყენა საკითხი, რომ მოხდეს შუხუთის კულტურის სახლის შენობის დემონტაჟი და მის ადგილზე აშენდეს სპორტული დარბაზი, რაზეც პრემიერ - მინისტრისგან მიიღო თანხმობა. მაგრამ მაჟორიტარმა დეპუტატმა მუნიციპალიტეტის გამგებელს წარმოუდგინა სოფლის მაცხოვრებლების მიერ შეგროვებული ხელმოწერები, რომლითაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ აღნიშნული შენობის დემონტაჟს. ამასთან, საკრებულოს წევრის მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ მოწვეული ყოფილიყო სსიპ ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლები შენობისთვის ექსპერტიზის ჩასატარებლად, რაც თავისთავად დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოუწოდა დეპუტატს, რომ სოფლის მოსახლეობასთან ერთად ჩამოყალიბდნენ და მიიღონ აღნიშნულ შენობასთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილება.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ** და გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** ასევე დაადასტურეს, რომ აღნიშნული შენობა ნამდვილად ამორტიზირებულია და ფიზიკურად აღარ ექვემდებარება

სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. მათი თქმით, მოწვეული აუდიტორის მიერ შენობა შეფასებულია ნულოვნად.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ამ მოწვევის საკრებულოს მიერ დამტკიცებული არც ერთი წლის ბიუჯეტი არ შესრულებულა. ყოველი წლის ბოლოს ბიუჯეტში იყო სეკვესტრი და სარეზერვო ფონდიდან მოდიოდა მთავრობის დახმარება. დეპუტატის თქმით, 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი იყო 1 800 000 ლარი. წინა ხელისუფლების დროს საჯარიმო სანქციები შეადგენდა 170 000 ლარს, ამჟამად კი მაჩვენებელი დაახლოებით 1 000 000 ლარს შეადგენს. ჯარიმების ადმინისტრირებას მუნიციპალიტეტი ვერ ახდენს, რადგან იგი ოფიციალურად შემოდის საპატრულო პოლიციიდან. ამასთან, საგადასახადო ნაწილის ვალდებულებებს იღებს სახელმწიფო და არ აძლევს მუნიციპალიტეტს მისი გაზრდის უფლებას. დეპუტატმა მოთხოვა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ დაესახელებინა თუნდაც საკრებულოს ერთი სხდომა, რომელზეც ბიუჯეტის გაზრდა მოხდა ადგილობრივი შემოსავლებით, გარდა ინფრასტრუქტურული პროექტების შემოსავლებისა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, დეპუტატ გიორგი გოგუაძეს შეცდომაში შეჰყავს დასწრე საზოგადოება, რადგან გამგებელი საუბრობდა მხოლოდ იმ პროექტებზე, რომელთანაც დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ ტენდერების გამოცხადების შემდეგ მუნიციპალურ ანგარიშზე ჩაირიცხა თანხები.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავა** აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში მთავრობა ვერ გამოუყოფდა მუნიციპალიტეტს დამატებით თანხებს, რადგან ყველაფერი დანგრეული და განადგურებული იყო. მან მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ დაესახელებინა თუნდაც ერთი პროექტი, რომელიც ცენტრალურმა ხელისუფლებამ გურიაში განახორციელა.

დეპუტატი, **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ბიუჯეტის არასწორ დაგეგმვასა და საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის შეუსრულებლობაზე, რაც წარმოდგენილია 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში.

დეპუტატმა, **კახაბერ გუჯაბიძემ** კითხვა დაუსვა მუნიციპალიტეტის გამგებელს ჯიხეთის მონასტრის პროექტთან დაკავშირებით. რაზეც გამგებელმა უპასუხა, რომ ჯიხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ანდრიას აზრით ამ ეტაპზე უფრო პრიორიტეტულია მონასტერთან მისასვლელი გზის გაკეთება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** აზრით, დეპუტატების გადასაწყვეტია, გზა გაკეთდება თუ სხვა რამ. ჯიხეთის დედათა მონასტერთან დაკავშირებით მიღებულია კონკრეტული პროექტი, რომელიც უნდა განხორციელდეს. ხოლო დამატებით რის გაკეთებაც გადაწყდება მონასტრისთვის, ეს უნდა შეთანხმდეს მამა ანდრიასთან.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ გამგებლის თქმით ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება დაფინანსდა, მაშინ როცა 8 ა(ა)იპ- იმ წლით განსაზღვრული ბიუჯეტის თანხა ვერ მიიღო. ამას გარდა, ადმინისტრაციულ შენობაში არ მიეწოდება ინტერნეტი, ორი წელია ქსეროქსის აპარატს ითხოვს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის მანქანა სრულიად

ამორტიზირებულია და შეკეთებას აღარ ექვემდებარება. როგორც ცნობილია, საგადასახადო ნაწილში სახელმწიფომ მუნიციპალიტეტს დააკლო დაახლოებით 170 000 ლარი, ხოლო წლის ბოლოს სარეზერვო ფონდიდან დამატებით გამოუყო 250 000 ლარი. დეპუტატი დაინტერესდა, რატომ არ იქნა გადაფარული სახელმწიფოს საგადასახადო ვალდებულება და რატომ მოაკლდა ადგილობრივ შემოსავალს.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ 2015 წლისთვის მუნიციპალიტეტს სახელმწიფომ დამატებით გამოუყო 200 000 ლარი, ახლა კი - 250 000 ლარი, რაც, მისი აზრით, ნამდვილად არაა დანაშაული. რაც შეეხება ინტერნეტს, გამგებლის თქმით, გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც გამარჯვებული გამოვლენილია და ეს პრობლემა უახლოეს პერიოდში საბოლოოდ მოგვარდება.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ერთი ა(ა)იპ-დან მეორეში მოხდა სესხის სახით ფულის გადაცემა. მუნიციპალიტეტის გამგებლის თქმით, ეს ოპერაცია განხორციელდა მისი თანხმობის გარეშე. აუდიტორული დასკვნის მიხედვით, კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებს. დეპუტატი დაინტერესდა, გაატარებს თუ არა მუნიციპალიტეტის გამგებელი მათ მიმართ სათანადო ღონისძიებებს, როგორც ეს დასკვნაშია მითითებული. ამასთან დაკავშირებით **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ თუ ვინმე უკანონოდ მოიქცა, შესაბამისი პასუხი აუცილებლად მოეთხოვება.

დეპუტატ, **ამირან ქანთარია**ს თქმით, თითქმის 4 წელია მისი დაწესებულების მიმართ დავალიანება აქვს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს. აქედან გამომდინარე, მის დაწესებულებას და თანამშრომლებს მიადგათ როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანი. გარდა ამისა, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ წვიმის დროს მისი დაწესებულების მიმდებარე ტერიტორია იტბორება და შენობასთან მისვლა ძნელდება. მან საკუთარი სახსრებით დააგო ასფალტის საფარი, რომელიც დააზიანა საბიუჯეტო ორგანიზაციამ. დეპუტატმა რამდენჯერმე მიმართა აღნიშნულის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომლის მხრიდან იყო დაპირება დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** ბოდიში მოუხადა დეპუტატს, რომ აქამდე ვერ მოხერხდა აღნიშნული პრობლემის მოგვარება და დაპირდა, რომ უახლოეს პერიოდში აუცილებლად გადაიჭრება ეს საკითხი.

დეპუტატმა, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე კოსტავას ქუჩის მაცხოვრებლების სახელით შემოსულია განცხადება. აღნიშნულ ქუჩაზე საერთოდ არ არის კანალიზაციის მილები, რის გამოც ჭუჭყიანი წყალი ჩაედინება სანიაღვრე არხებში და შეიძლება იქცეს ეპიდემიური აფეთქების კერად. მოსახლეობის თქმით, პარალელურ ქუჩაზე არის ძველი მილები, რომელთანაც მიერთებით შეიძლება პრობლემის მოგვარება. გარდა ამისა, დეპუტატი შეეხო 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული უთანხმოებები. ბიუჯეტის დამტკიცებისას თავიდანვე იყო დისბალანსი ხარჯვით ნაწილსა და შემოსავლებს შორის, რის გამოც ბიუჯეტი ბოლომდე ვერ შესრულდებოდა, რომ არა მთავრობის მხრიდან დამატებით გამოყოფილი თანხა. აპელირება გაკეთდა მოსაკრებლების დაწესებაზე, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს მენეჯმენტის სწორად განკარგვა, როცა

დასუფთავების სამსახურს არ აქვს შესაბამისი თანხა ამოღებული. აღნიშნული სამსახურისთვის გამოყოფილი დაფინანსება არ არის საკმარისი, რადგან თანხის 80 %-ით ხდება სახელფასო დავალიანების გასტუმრება. იგი ორიენტირებულია მხოლოდ დასაქმებაზე და სათანადოდ არ ასრულებს დაკისრებულ სამუშაოებს..

მუნიციპალიტეტის გამგებელი არ დაეთანხმა დეპუტატს და აღნიშნა, რომ აქამდე არც ერთ მოქალაქეს არ გამოუთქვამს რაიმე სახით პრეტენზია ამ სამსახურის მიმართ. რაც შეეხება დაფინანსებას, რომელიც ამ ა(ა)იპ-ის აქვს, ნამდვილად არაა საკმარისი. ამიტომ მთავრობის სახელზე გაგზავნილია წერილი, რომლის საფუძველზე სამსახურს დამატებით გამოეყოფა 200 000 ლარი, რაც სრულიად საკმარისია წლის განმავლობაში დასუფთავებითი სამუშაოების ჩასატარებლად.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** დეპუტატებს მოუწოდა საკითხის ირგვლივ კამათის შეწყვეტისკენ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ 2017 წლის 27 აპრილს ჩატარდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. ძირითადად შენიშვნები გამოთქმული იქნა შემოსავლით ნაწილში, სადაც ბიუჯეტით განსაზღვრული პარამეტრების ნაწილი არ იქნა შესრულებული (93%).

მიუხედავად იმისა რომ მიმდინარე წელს გასულ წლებთან შედარებით მოსაკრებელმა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან მოიმატა, აღნიშნული პარამეტრი კვლავ შეუსრულებელი დარჩა და შეადგინა 58,8%. ყველაზე დიდი დანაკლისი ბიუჯეტმა განიცადა მოსაკრებელში ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის, აღნიშნული პარამეტრი კვლავ შეუსრულებელი დარჩა და შეადგინა დაგეგმილის 16,5%-ია.

ხოლო შემოსავალი არაფინანსური აქტივების კლებიდან, რომელიც წინა წლებში მუდმივად შეუსრულებელი რჩებოდა, მიმდინარე წელს მიუხედავად დაგეგმილი 700000 ლარისა 99%-ით იქნა შესრულებული.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს ა(ა)იპების დაფინანსებას დააკლდა მთლიანობაში 55000 ლარი. მათ შორის უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამდელი დაწესებულების დაფინანსებას დააკლდა 21536 ლარი და უფასო სასაბინოს დაფინანსებას დააკლდა 1445 ლარი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი გასულ წლებთან შედარებით 1200000 ლარამდე იყო გაზრდილი. მიუხედავად იმისა რომ ბიუჯეტი არ იქნა შესრულებული წინა წლებთან შედარებით ფაქტობრივმა შემოსავალმა 727000 ლარით მეტი შეადგინა და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის ბიუჯეტის აღებული ვალდებულებები ძირითადად სრულად იქნა დაფინანსებული.

ამასთან, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის წესის შესაბამისად,

როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებიდან მოსაკრებლის მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში.

აღნიშნული საკითხის მოწესრიგების მიზნით შესაბამისი სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიების თაობაზე მოსმენილი იქნას ანგარიში ივლისის თვეში.

რაც შეეხება მოსაკრებელს ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დასმული იქნას შესაბამისი სამინისტროების წინაშე საკითხი მოსაკრებლების ბიუჯეტში დროულად მობილიზების მიზნით.

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიების გაერთიანებულ სხდომის უმრავლესობამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

გარდა ამისა, ჩატარდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება. აუდიტის ჩატარებისას რიგი დოკუმენტებისა შემოწმდა დეტალურად, რათა მიღებული ყოფილიყო იმის სათანადო მტკიცებულება, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტის ჩატარებისას არ აღმოჩენილა არსებითი უზუსტობები, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სისწორეზე. მათ მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები ინვენტარიზაციის დროულად ჩატარებაზე და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპებში და შპს-ში ბუღალტრული ანგარიშგების ხარვეზების აღმოფხვრაზე. საბოლოოდ, აუდიტორების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანოების საქმიანობა დადებითად იქნა შეფასებული.

დეპუტატმა, **აკაკი იმნაიშვილმა** კიდევ ერთხელ მოთხოვა მუნიციპალიტეტის გამგებელს დაეკონკრეტებინა, თუ რა არ შეასრულა ბიძინა ივანიშვილმა, რაზეც ზაზა ურუშაძემ განაცხადა, რომ დეპუტატის პრინციპები ცდება პარტიულ, გუნდურ და მეგობრულ ურთიერთობებს.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** ასევე მოითხოვა მუნიციპალიტეტის გამგებლისგან პასუხის გაცემა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ მოხდა საგადასახადო ნაწილში დაკლებული 169 000 ლარის გადაფარვა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, დეპუტატს შეუძლია ოფიციალური წერილით მომართოს და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მიაწვდის შესაბამის ინფორმაციას, ასევე დოკუმენტალურად შეამოწმოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი და თანხების მოზიდვა.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.**



მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი 6 დეპუტატი: (გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა, ელგუჯა ჩხაიძე, რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე, ნონა მურვანიძე).

მიღებულ იქნა განკარგულება N37 (28.04. 2017 წელი).

**დღის წესრიგის მერვე საკითხზე:** „მერების შეთანხმება-აღმოსავლეთის“ ხელმოწერაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, **ნუგზარ ცინცაძემ**. მან აღნიშნა, რომ „მერების შეთანხმება“ არის ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა. იგი აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას გაზარდონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე. შეთანხმების ხელმოწერნი მიზნად ისახავენ 2020 წლისათვის შეამცირონ CO<sub>2</sub>-ის ემისიები მინიმუმ 20%-ით, 2030 წლისათვის კი, 30%-ით და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ მწვანე ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის.

მერების შეთანხმების მეშვეობით, ევროკავშირის ინსტიტუტებმა უშუალოდ ჩართეს ადგილობრივი და რეგიონული მთავრობები და ამით აღიარეს მათი მნიშვნელოვანი როლი ენერგეტიკული და კლიმატური ამოცანების შესრულებაში.

მერების შეთანხმების ეროვნული კოორდინატორები არიან - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ორი წლის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობა წარადგენს მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმას. კლიმატის ცვლილების შერბილებისა და შეგუების ღონისძიებებს ასახავს შესაბამის ადგილობრივი პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტებში თუ გეგმებში.

მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის წარდგენიდან ყოველ ორ წელიწადში პროცესის მიმდინარეობის შეფასების, ზედამხედველობისა და შემოწმების მიზნით წარადგენს შუალედურ ანგარიშს.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ღრმაღელეში ფუნქციონირებს ასფალტის ქარხანა, რომელსაც დაზიანებული აქვს გამონაბოლქვის გასაფილტრი მილი, რაც ცუდ ზეგავლენას ახდენს როგორც კლიმატზე, ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ქარხნის მფლობელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ადგილობრივი მაცხოვრებლების თხოვნა და ინტერესები, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობა მიმართავს სხვა ღონისძიებებს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ მხარს უჭერს ყოველგვარ ევროპულ წამოწყებას, მაგრამ გმობს ხელისუფლების ჩანაფიქრს თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, შესაწამლი პრეპარატის ანოტაციაში მითითებულია, რომ მისი შესუნთქვა იწვევს ადამიანის სიკვდილს. ამასთან, შეწამვლა უნდა განახორციელოს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, რომლებიც ამ საქმის პროფესიონალები არ არიან.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** მოუწოდა საკრებულოს წევრებს, მხარი არ დაუჭირონ ამ პრეპარატის გამოყენებას, რადგან იგი იწვევს ფატალურ შედეგს. მოსახლეობას უნდა მიეწოდოს სწორი ინფორმაცია პრეპარატის შესახებ. უმჯობესია მავნებლებთან ბრძოლა საკუთარი ძალებით. მომწავლავი ნივთიერება ქარის საშუალებით ვრცელდება რამდენიმე კილომეტრზე. დეპუტატის თქმით, არსებობს მავნებლების განადგურების სხვა ვარიანტი, ე.წ. „ხაფანგი“, რომლის შესახებაც ინფორმაცია გავრცელებულია სოციალური ქსელის საშუალებით.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში შემოვლენ სპეციალისტები და გამოთქვა მათთან შეხვედრაზე დასწრების სურვილი, რადგან ადგილობრივი სპეციალისტების აზრით, ამ მწერს თხილისთვის არანაირი ზიანი არ მიუყენებია. დეპუტატის თქმით, ეს არის ხელისუფლების მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი, რადგან თხილის მოსავალი არის მოსახლეობისთვის ერთ-ერთი მთავარი შემოსავალი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესაბამის სპეციალისტებთან გაიარა კონსულტაციები. სხვა მექანიზმი ამ მავნებლებთან ბრძოლისა არ არსებობს. გარდა ამისა, თვითონ მოსახლეობის გადასაწყვეტია შეწამლოს თუ არა კუთვნილი ფართობები, მით უმეტეს, რომ დაურიგდათ შესაბამისი ბუკლეტები.

დეპუტატმა, **თეიმურაზ მარშანიშვილმა** აღნიშნა, რომ ეთანხმება დეპუტატ დარეჯან ბურჭულაძის გამოსვლას ასფალტის ქარხანასთან დაკავშირებით. ქარხნის გამონაბოლქვი შეიცავს მავნე ნივთიერებებს, რომელიც ცუდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. არავინ ითხოვს, რომ ქარხანამ შეაჩეროს სამუშაოები, რადგან ეს გამოიწვევს ბევრი პროექტის განხორციელების შეფერხებას. მოსახლეობის მოთხოვნაა, რომ დამონტაჟდეს ფილტრი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ თვის ბოლოსთვის დაიწყება გაზიფიცირების პროცესი ნიგოთსა და წყალწმინდაში. მოხდება ქარხნის გაზიფიცირება და პრობლემაც მოიხსნება.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.**

**მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N39 (28.04. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის და ქონების მართვის,

ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს ბიუჯეტი შემოსავალი 59500 ლარით, მათ შორის არასასოფლო - სამეურნეო მიწის გაყიდვის ხარჯზე 33880 ლარით და შენობა - ნაგებობის გაყიდვის ხარჯზე 25620 ლარით. აღნიშნულის შემოსავლის ხარჯზე დაფინანსდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სტადიონის სარემონტო სამუშაოები - 55000 ლარი, ჯურყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარის კალაპოტის ღორღით და შლამით ამოწმენდითი სამუშაოებზე - 4500 ლარი. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ აპრილის თვეში ძლიერმა ქარმა დიდი ზარალი მიაყენა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. 25-26 აპრილს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა განკარგულება, რომლითაც სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ გამოიყო 350 000 ლარი. ამასთან, გასულ წელს „სოფლის პროგრამებით“ ჩატარებული ტენდერების ეკონომია იყო 22 404 ლარი და ეს თანხა მიიმართა ორ პროექტზე, რომლის ნებართვა უკვე განკარგულებით მიეცა მუნიციპალიტეტს. მთლიანობაში ეს 377 404 ლარი უნდა აისახოს ბიუჯეტში, რათა განხორციელდეს შესაბამისი პროექტები.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.**

მომხრე: 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 40 (28.04. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარეს ირჩევენ საკრებულოს წევრები თავისი შემადგენლობიდან. ამასთანავე, კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრთა 1/5 და ფრაქციებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთან დაკავშირებით შემოვიდა განცხადება, რომელსაც ხელს აწერს საკრებულოს შვიდი წევრი(რომან ბიწაძე, ევგენი ჩიჩუა, გიორგი ჩახვაძე, გოგი მორჩილაძე, ემზარ თევდორაძე, აკაკი იმნაიშვილი, კახაბერ გუჯაბიძე). ისინი მხარს უჭერენ დეპუტატ ჯუმბერ ბლაგიძის კანდიდატურას. ფრაქციებს და საკრებულოს წევრებს ასევე შეუძლიათ დაასახელონ სხვა კანდიდატურა. რეგლამენტის შესაბამისად, არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, რომან ბიწაძეს, რომ უხელმძღვანელოს არჩევნების ჩატარების ტექნიკური მხარეს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, რომან ბიწაძემ აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია შეასრულებს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის პროცედურას.

სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 26 დეპუტატმა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ შეაჯამა ფარული კენჭისყრის შედეგები და დეპუტატი, ჯუმბერ ბლაგიძე( 22 მომხრე, 1 წინააღმდეგი, 3 ბიულეტენი გამოცხადდა ბათილად) არჩეულ იქნა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, 27 აპრილს ჩატარდა საკრებულოს ფრაქციის „მაჟორიტარები“ სხდომა, რომელზეც ფრაქციის თავმჯდომარემ, ჯუმბერ ბლაგიძემ გააკეთა განცხადება, რომ საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის დასახელებასთან დაკავშირებით, ის ტოვებს ფრაქციის „მაჟორიტარები“ თავმჯდომარის თანამდებობას. ფრაქციის „მაჟორიტარები“ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი, გოგი მორჩილაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** დეპუტატ, ჯუმბერ ბლაგიძეს მიულოცა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ არჩევა და უსურვა შემდგომი წარმატებები.

ახლადარჩეულმა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** მაღლობა მოახსენა საკრებულოს თავმჯდომარეს, გიორგი ხელაძეს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბესიკ ტაბიძეს და კოლეგებს გამოჩენილი ნდობისთვის. შემდეგ აღნიშნა, რომ თანამდებობა მისთვის თვითმიზანი არასდროს ყოფილა. ის ყოველთვის გამოხატავდა ხალხის სათქმელს, იყო პრინციპული და ობიექტური და მომავალშიც ასე იქნება. მთელ თავის გამოცდილებას და ძალ - ღონეს არ დაიშურებს ახალ თანამდებობაზე საქმიანობისას და აქტიურად გააგრძელებს მუშაობას.

## **მიღებულ იქნა განკარგულება: N38 (28.04.2017)**

### **სხვადასხვა:**

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მოსახლეობისთვის დარიგებულ ბუკეტებში გარკვევით წერია, რომ მოკლევადიანი შეწამვისას ინჰალაციის შედეგად მოსალოდნელია ადამიანის გარდაცვალება, ხოლო განმეორებით მოხმარებისას იწვევს კიბოს დაავადებას. მან მოუწოდა მაჟორიტარ დეპუტატებს, რომ არ იქნას გამოყენებული აღნიშნული შესაწამლი ნივთიერება სოფლებში.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტი, რომელშიც არასამთავრობოებთან, კერძოდ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან ერთად, ჩართული იყო მთლიანად მუნიციპალიტეტი და პროექტი განხორციელდა 10 თემში. დეპუტატმა მაღლობა გადაუხადა ამ ტერიტორიულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებს, დეპუტატებს ორგანიზაციულ საკითხებში დახმარების გაწევისთვის. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე დააყენა საკითხი

აგარაკის ტერიტორიაზე ძლიერი ქარის შედეგად წაქცეული ხის შესახებ. უმოკლეს ვადაში მოხდა ტერიტორიის გაწმენდა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და გამგეობის შესაბამის სამსახურს.

დეპუტატ, აკაკი იმნაიშვილის თქმით, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაზე დააყენა საკითხი ქალაქის ცენტრში ყოფილი უნუვერმადის მიმდებარე ტერიტორიის განათებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ მონაკვეთზე არ არის სრულყოფილი განათება, რაც ქმნის საშიშ სიტუაციას. დეპუტატმა მიმართა შესაბამისი სამსახურის უფროსს, რომ ეს საკითხი გათვალისწინებული და დროულად მოგვარებული იქნას.

საკრებულოს ფრაქცია“ დამოუკიდებელის“ თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ ლანჩხუთის ტექ-სერვისის თანამშრომლებს მათზე დაკისრებული სამუშაოების სათანადოდ და დროულად შესრულებისთვის. მაგრამ ასევე აღნიშნა, რომ ხშირია გაუთვალისწინებელი ხარჯები გარე განათებასთან დაკავშირებით, რისთვისაც არ ყოფნით დაფინანსება. დეპუტატმა თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ იქნებ გამოინახოს დამატებით ფინანსები და აღნიშნულ ა(ა)იპ-ის გაეზარდოს დაფინანსება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო